



ბარემოს დაცვისა და
ბუნებრივი რესურსების
სამინისტრო

2006 წლის ანგარიში

სამინისტროს მისია და სტრატეგიული მიმართულებები

საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მისიას მდგრადი ბუნებათსარგებლობის პრინციპების დამკვიდრებისა და განვითარების ხელშეწყობა წარმოადგენს.

სამინისტროს მიერ დასახული მისიის განხორციელების უზრუნველსაყოფად განსაზღვრული იქნა განსახორციელებელ რეფორმათა შემდეგი ძირითადი სტრატეგიული მიმართულებები:

- ✓ ინსტიტუციური რეფორმის განხორციელება;
- ✓ გარემოს დაცვის სისტემის სრულყოფა;
- ✓ ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის სისტემის სრულყოფა;

2006 წელს განხორციელებულ საქმიანობათა ხასიათისა და კურსის განმსაზღვრელად შეიძლება ჩაითვალოს ინოვაციური ცვლილებებითა და რეფორმატორული მუხტით აღსავსე 2005 წელი, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა მდგრადი ბუნებათსარგებლობის პრინციპების დამკვიდრებისა და სათანადო გარემოსდაცვითი პოლიტიკის გატარებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნას. შესაბამისად, განხორციელებული ღონისძიებები ორიენტირებული იყო 2006 წლისათვის დადგენილი პრიორიტეტების განხორციელებასა და დაგეგმილ რეფორმათა პრაქტიკულ რეალიზებაზე.

ინსტიტუციური რეფორმა


სისტემის მოქნილი და ეფექტური ფუნქციონირების ხელშეწყობის მიზნით, 2006 წელს, საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროში განხორციელდა მნიშვნელოვანი სტრუქტურული და საკადრო ცვლილებები. მიუხედავად იმისა, რომ 2006 წლის იანვრიდან დღემდე სამინისტროს ცენტრალური აპარატის საშტატო ერთეულის რაოდენობა დარჩა უცვლელი, 2006 წლის 30 ნოემბრიდან სამინისტროს ცენტრალურ აპარატში განხორციელებული სტრუქტურული რეორგანიზაციის შედეგად:

- გაუქმდა სამინისტროს ცენტრალური აპარატის ადმინისტრაციული დეპარტამენტის რეგიონებთან ურთიერთობის სამმართველო.
- საერთაშორისო ურთიერთობებისა და კონვენციების დეპარტამენტის ეკოლოგიური მონიტორინგის სამმართველო გადავიდა სახელმწიფო საქვეუწებო დაწესებულება გარემოს დაცვის ინსპექციის დაქვემდებარებაში.

- ადმინისტრაციულსა და ფინანსური უზრუნველყოფის დეპარტამენტების გაერთიანების შედეგად ადმინისტრაციული დეპარტამენტის საშტატო რაოდენობა გაიზარდა 23 ერთეულით. მას დაემატა: ბუღალტერია, საფინანსო – საბიუჯეტო სამმართველო, სახელმწიფო შესყიდვების სამმართველო, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველო, ქსელის ადმინისტრირების სამმართველო.

2006 წელს პრეზიდენტის ბრძანებულების (05.04.06№238) საფუძველზე რეორგანიზებულ იქნა სსიპ: საქართველოს სატყეო სექტორის განვითარების ცენტრი, საქართველოს დაცული ტერიტორიების განვითარების ცენტრი, საქართველოს სანაპირო ზონის ინტეგრირებული მართვის ცენტრი და მათ ბაზაზე შეიქმნა სსიპ – მდგრადი განვითარების პროექტების განმახორციელებელი სააგენტო.

რეორგანიზაციის შედეგად შემცირდა სატყეო მეურნეობის დეპარტამენტის 424 საშტატო ერთეული: მათ შორის 11 - ცენტრალურ აპარატში, 278 –ტერიტორიულ ორგანოებში.



ბარემოს მონიტორინგი და პროგნოზირება

ბარემოს ხარისხობრივი შესწავლისა და პროგნოზირების მიზნით განხორციელდა შემდეგი სამუშაოები:

- ბახმაროს მაღალმთიან მეტეოროლოგიურ სადგურზე განთავსებული იქნა ვერცხლისწყლიანი ბარომეტრი;
- დამუშავდა 2005 წლის ბოლოს შემოწმებული 30 მეტეოროლოგიური სადგურის ბარომეტრების მონაცემები და შესწორებები დაეგზავნა მეტეოროლოგიურ სადგურებს.
- თბილისის მეტეოროლოგიურ სადგურზე დაიდგა ქარის მახასიათებლების გამზომი მ-63 ტიპის ახალი ხელსაწყო.
- გორის და გარდაბნის მეტეოროლოგიურ სადგურებზე დაიდგა და რეგულირება ჩაუტარდა პლუვიოგრაფს.
- ზემო აფხაზეთში მოეწყო მეტეოროლოგიური საგუშაგო, სადაც დამონტაჟდა ფლუგერი, ანძა, ნალექმზომი და თოვლის სიმაღლის საზომი სარტყელი.
- 2006 წლის გაზაფხულის წყალდიდობის პროგნოზის შედგენის მიზნით მარტი-აპრილის თვეში ჩატარდა თოვლის საფარის მარშრუტული აგეგმვა საქართველოს მდინარეებსა და მათ შენაკადებზე საერთო სიგრძით 192 კმ.
- თურქეთის წარმომადგენლებთან ერთად მდინარეების მაჭახელასწყალის, ჭოროხის და აჭარწყალის აუზებში ჩატარდა მდინარეში წყლის დონისა და სედიმენტების გაზომვითი სამუშაოები.
- განახლებული რედაქციით გამოიცა და პრაქტიკაში დაინერგა “სეტყვის პროგნოზის მეთოდი აღმოსავლეთ საქართველოსთვის” და “ელჭექის პროგნოზის მეთოდი აღმოსავლეთ საქართველოსთვის.”
- დაიშიფრა გასული წლების 18 თვესადგურის და 2005 წლის მთლიანად და 2006 წლის სექტემბრის ჩათვლით მეტეოროლოგიური საგუშაგოების მონაცემები, აგრეთვე მეტეოროლოგიური საგუშაგოებიდან შემოსული 2006 წლის დაუშიფრავი მასალები.
- გამოთვლილი იქნა ივნისის თვეში ჰიდროთერმული კოეფიციენტი და გაგრძელდა ევექტური ტემპერატურის ჯამის დაანგარიშება;
- მომზადდა მასალები საქართველოს ტერიტორიაზე მიმდინარე გაუდაბნოების პროცესების შესახებ.
- საქართველოს 30 სადგურისათვის გამოთვლილ იქნა ნალექების კლიმატური ინდექსები.
- თვის, სეზონისა და წლის პროგნოზის შესადგენად მიმდინარეობდა მსოფლიოში აპრობირებული სამგანზომილებიანი, სიგმა-კოორდინატული, მარტივ ჰიდროდინამიკურ განტოლებებზე დამყარებული რეგიონული კლიმატური მოდელი REDCM3-ის მორგება ამიერკავკასიის რეგიონისათვის, რომელიც მოიცავს შავი და კასპიის ზღვების, დიდი და მცირე კავკასიონის და ჩრდილოეთ თურქეთის ტერიტორიებს.
- განხორციელდა თბილისის მეტეოროლოგიური სადგურის 1980-2005 წლების მონაცემების უწყვეტი რიგების მიზნობრივი დამუშავება და

მიწისპირა ატმოსფერული ჰაერის ტემპერატორული რეჟიმის მახასიათებლების დადგენა.

- 2005 წელს განვითარებული სტიქიური ჰიდრომეტეოროლოგიური მოვლენებისათვის დამუშავდა 25 მეტეოროლოგიური სადგურის მონაცემები, ჩატარდა ამ მოვლენების გამომწვევი სინოპტიკური პროცესების აღრიცხვა-ანალიზი;
- მომზადდა საქართველოს ტერიტორიის სრული რადიოლოკაციური გაშუქებისათვის საჭირო რადარების დისლოკაციის რუკა;
- მომზადდა საქართველოს სამხედრო გზაზე ზეავსაწინააღმდეგო ტექნოლოგიების განლაგების მსხვილმასშტაბიანი რუკა;
- განხორციელდა საქართველოს სამხედრო გზის არსებული მსხვილმასშტაბიანი ზეავსაშიშროების რუკის ბაზაზე დვარცოფსაშიშროების კომბინირებული რუკის შექმნისათვის საჭირო სამუშაოები.
- მომზადდა თოვლის ზეავეების ქვეყნის ტერიტორიაზე ფონური განაწილების რუკა.

- წყლის ლაბორატორიაში ჩატარებულია 6501 ანალიზი მდინარეებზე, ხოლო ატმოსფერულ ნალექებზე 638 ანალიზი.

- 2006 წლის განმავლობაში საქართველოს წყლის სინჯებში აღინიშნა 1 ექსტრემალური დაბინძურება თუთიით და 11 მაღალი დაბინძურება, აქედან 2 ამონიუმის აზოტით, 4 ნიტრიტის აზოტით, 2 სპილენძით, 1 თუთიით, 1 მანგანუმით და 1 რკინით.

- ნიადაგის ანალიზის ლაბორატორიაში ჩატარდა ბათუმის ნავთობტერმინალის მიმდებარე ტერიტორიაზე აღებული ნიადაგის 51 სინჯი.

- კასპის ცემენტის ქარხნის ტერიტორიიდან აღებულია 44 სინჯი. აქედან 24 აზიმუტალური მეთოდით, ხოლო 20-ორთოგონალური ბადის მეთოდით.

- მდინარე მაშავერას მიმდებარე ტერიტორიაზე აღებულია 6 სინჯი.

- ატმოსფერული ჰაერის დაბინძურებაზე დაკვირვება წარმოებდა ე.წ. “საგზაო სამკუთხედში”, სულ აღებულია 99 სინჯი, შესწავლილი იქნა აგრეთვე ორთაჭალის №5 იზოლატორის 4 საკანი. აღებული იქნა 12 სინჯი.

ატმოსფერულ ჰაერში ხდება მტვერის, გოგირდის დიოქსიდის, ნახშირჟანგის, აზოტის დიოქსიდის, გოგირდწყალბადის და მანგანუმის დიოქსიდის განსაზღვრა.

- ჩატარდა ექსპედიციები ქ. თბილისის და რაჭის ტერიტორიების რადიოაქტიური დაბინძურების მდგომარეობის შესასწავლად და რადიოაქტიური წყაროების მოძიების მიზნით.

- დასრულებულ იქნა ქ. თბილისის სხვადასხვა ქუჩებზე დროის სხვადასხვა მონაკვეთებში ავტომანქანების ნაკადის შესწავლა

ავტოტრანსპორტის გამონაბოლქვის შედეგად ჰაერის დაბინძურების დადგენის მიზნით.

- ქ. თბილისის ზოგიერთ უბანში შესრულებულია ელექტრომაგნიტური ველის გამოსხივების ინტენსივობის გამოკვლევა, გამოკვლეულ იქნა ხმაურის დონეც.

სტიქიური პროცესების მართვა

- დამუშავდა საინფორმაციო ბიულეტენი “საქართველოში 2005 წლის გეოლოგიური სტიქიის შედეგები და მათი განვითარების პროგნოზი” 2006 წლისათვის.
- გეოლოგიური სტიქიის გააქტიურებასთან დაკავშირებით სხვადასხვა რეგიონში შეფასებულ იქნა მეწყერული და სხვა გეოლოგიური პროცესების საშიშროების არეალში მოქცეული 600-ზე მეტი სახლი და საკარმიდამო ნაკვეთი.
- ჩატარდა საველე-კვლევითი სამუშაოები ზემო აფხაზეთის მხრიდან კოდორის ხეობაში გასასვლელი გზისა და რიგი დასახლებული ტერიტორიების საინჟინრო-გეოდინამიკური სიტუაციის შეფასების მიზნით.
- ჩატარდა მდ. თერგის, გორის, მცხეთისა და დუშეთის რაიონების მდინარეების მწვავე ავარიული უბნების გამოკვლევა, შავი ზღვის სანაპიროზე ავარიული უბნების განსაზღვრა და ნაპირადდგენითი სამუშაოების საორიენტაციო ღირებულების დადგენა.


ლიცენზიებისა და ნებართვების სისტემა

2006 წლის განმავლობაში სხვადასხვა ბუნებრივი რესურსით სარგებლობის უფლების მოსაპოვებლად გაიმართა 50 აუქციონი. (მ.შ. 31-სასარგებლო წიაღისეულის; 12-ხე-ტყის; 6-თევზჭერის; 1 სამონადირეო)

სარგებლობის ლიცენზიების ფასმა ჯამში შეადგინა 80,9 მლნ ლარი (მ.შ. გადახდილია 34 300 000).

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება	67 146 519
ხე-ტყის დამზადება	5 733 876
თევზჭერა	8 040 117
სამონადირეო	25 212
სულ	80 945 724


**ლიცენზიის ფასი სარგებლობის ლიცენზიის
სახეების მიხედვით (მლნ ლარი)**



წლის განმავლობაში სულ გაცემული იქნა 934 ერთეული ბუნებრივი რესურსით სარგებლობის ლიცენზია (788 მეწარმე).
2006 წელს გადახდილმა ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის მოსაკრებელის ოდენობამ (საგადასახადო დეპარტამენტის მიერ კონტროლირებადი სახეების ჩათვლით) 29,6 მლნ ლარი შეადგინა.

ბიუჯეტში გადახდილი იქნა სალიცენზიო მოსაკრებელი - 400 000 ლარის ოდენობით.

მონაცემები 2006 წელს გაიმართული აუქციონების შესახებ



2006 წლის 7 ივლისს, თერჯოლის რაიონში საცემენტე ნედლეულით სარგებლობის ლიცენზიის მოსაპოვებლად გაიმართა აუქციონი, რომელზედაც დაფიქსირდა ლიცენზიებისა და ნებართვების ახალი სისტემის შექმნიდან ყველაზე მაღალი ლიცენზიის ფასი - **47,58** მლნ ლარი (აუქციონზე გამოტანილი ობიექტის საწყისი ფასი შეადგენდა 1,3 მლნ ლარს).

ინოვაციას წარმოდგენდა თევზჭერის გრძელვადიანი ლიცენზიის მოსაპოვებლად აუქციონის ჩატარება. 9 ნოემბერს გაიმართა აუქციონი შავ ზღვაში 2006-2015 წლებში თევზჭერის ლიცენზიის მოსაპოვებლად. ლიცენზიატებს დაეკისრათ საქართველოში რეგისტრირებულ თევზსაჭერი გემების მესაკუთრეთათვის კუთვნილი კვოტის ფარგლებში 10 %-ის გამოყოფის ვალდებულება.

ასევე ლიცენზიატებს დაეკისრათ უახლოესი 5 წლის განმავლობაში მოპოვებული რესურსის არანაკლებ 2/3-ის საქართველოს ტერიტორიაზე გადამუშავების ვალდებულება, რაც მიზნად ისახავდა თევზის გადამუშავების სფეროში ეროვნული წარმოების განვითარებისათვის ხელშეწყობასა და ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმების უზრუნველყოფას.

- გაიცა ზედაპირული წყლის ობიექტიდან წყალაღების 23 ნებართვა;
- ზედაპირულ წყლის ობიექტში წყალჩაშვების 15 ნებართვა;
- ბირთვული და რადიაციული საქმიანობის 30 იმპორტის და 7 ექსპორტის ნებართვა;
- დღეის მდგომარეობით გაცემულია გადამფრენ ფრინველებზე ნადირობის 2761 ნებართვა ქ. თბილისში;
- გაიცა გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ველური ფლორისა და ფაუნის იმპორტის 1, ექსპორტის 1 და რეექსპორტის 1 ნებართვა (CITES).

სახელმწიფო ბიუჯეტში შევიდა:

- გარემოზე ზემოქმედების სანებართვო მოსაკრებლის სახით 19 000 ლარი;
- ზედაპირული წყლის ობიექტიდან წყალაღებისა და ზედაპირულ წყლის ობიექტში წყალჩაშვების სანებართვო მოსაკრებლები - 7300 ლარი;
- ნადირობის ნებართვის მოსაკრებლები - 27610 ლარი.

2006 წელს ბიუჯეტში სანებართვო მოსაკრებლის სახით შევიდა სულ 53 910 ლარი.

ლიცენზიებისა და ნებართვების ახალი სისტემიდან გამომდინარე კანონების სრულყოფისა და სისტემის ქმედითობის ამაღლების მიზნით, სამინისტროს მიერ შემუშავებული და საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული იქნა შემდეგი საკანონმდებლო აქტები:

- *“საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე” საქართველოს კანონი;*
- *“საქართველოს ტყის კოდექსში” ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე” საქართველოს კანონი;*
- *“საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში” ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე” საქართველოს კანონი;*
- *“ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების შესახებ” საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე” საქართველოს კანონი;*
- *“ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ” საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე” საქართველოს კანონი;*

- “სალიცენზიო სანებართვო მოსაკრებლების შესახებ” საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე” საქართველოს კანონი;
- “ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ” საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე” საქართველოს კანონი;

სატყეო სექტორი

ტყე ჩვენი ქვეყნისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობის ბუნებრივ რესურსს წარმოადგენს. შესაბამისად, სატყეო სექტორის გარემოსდაცვითი, სოციალური თუ ეკონომიკური ხასიათის ნაკლოვანებების აღმოფხვრასა და სისტემის ადექვატურ განვითარებას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება.

სატყეო სექტორის მართვის სისტემის რეფორმირების მიზნით, სამინისტროს მიერ მომზადებული იქნა დოკუმენტის პროექტი, რომელიც ეროვნული სატყეო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს განსაზღვრავს. აღნიშნული დოკუმენტი მიმდინარე წლის განმავლობაში საჯარო განხილვების ობიექტი გახდა. დაინტერესებულ მხარეთა მიერ გამოთქმული შენიშვნების შედეგად რამდენჯერმე მოხდა დოკუმენტის პროექტში ცვლილებების შეტანა. ამჟამად პროექტი განხილვების საბოლოო ფაზაშია. აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით, 2007 წლისათვის დაგეგმილია მართვის სისტემის რეფორმირების მიზნით პრაქტიკული ღონისძიებების განხორციელება.

ტყის ფონდის მიწებზე არსებული გამეჩხერებული, დაბალი სიხშირისა და დაბალი პროდუქტიულობის კორომებში, ეროზირებულ, ინტენსიურად ჭრაგავლილ ფართობებზე, ტყის წყალმარეგულირებელი, ნიადაგდაცვითი და სხვა მნიშვნელოვანი ტყის ფუნქციების მოშლის თავიდან აცილების მიზნით, სატყეო მეურნეობის დეპარტამენტის მიერ ტყის აღდგენა-განახლების მიზნით, განხორციელებული იქნა უმნიშვნელოვანესი ღონისძიებები. მათ შორის:

ბოლნისის, თეთრიწყაროს, მცხეთის, კასპის, თბილისის და საგარეჯოს სატყეო მეურნეობებში მსოფლიო ბანკის თანადაფინანსებით გაშენებული ტყის კულტურების მოვლის სამუშაოები;

თეთრიწყაროს სატყეო მეურნეობაში 12 ჰა-ზე გაშენებული იქნა ტყის კულტურები;

ქვეყნის მასშტაბით, ტყის ბუნებრივი განახლების ხელშეწყობა განხორციელდა 117 ჰა ფართობზე;

ბოლო წლებში შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, ენერგო-მატარებლების დეფიციტის გამო, მნიშვნელოვნად გაიზარდა მოთხოვნილება ხე-ტყეზე და განსაკუთრებით სათბობ შემაზე. შესაბამისად, მოსახლეობის სათბობ შემაზე მოთხოვნილების დაკმაყოფილების მიზნით მიმდინარე წელს გამოყოფილი იქნა სპეციალური ჭრის ტყეკაფები, 347.7 ათ კმ საშეშე ხე-ტყის მისაღებად.

მიმდინარე წლის განმავლობაში ძირზე გაცემულია 460 ათასი კმ ლიკვიდური მერქანი.

ტყის ფონდის მერქნული რესურსებით სარგებლობისათვის გადახდილმა მოსაკრებელმა 4.43 მლნ ლარი შეადგინა.

სახელმწიფო ტყის ფონდის ფართობზე ტყის დაცვის, აღდგენა-განახლებისა და ტყის ფონდის რესურსების რაოდენობრივი და ხარისხობრივი შეფასების მიზნით განხორციელდა ტყეთმწიფობის სამუშაოები.

მცხეთის სატყეო მეურნეობა (13 908 ჰა ფართობი)
თბილისის სატყეო მეურნეობა (8 854 ჰა ფართობი)

მსოფლიო ბანკის მიერ დაფინანსებული "საქართველოს ტყის განვითარების" პროექტის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

- ტყის მასივების (1 179 500 ჰა) აეროფოტოგადაღება;
- ლანდშაფტურ-ეკოლოგიური ზონირება (LEC) 1 750 000 ჰა ფართობზე;
- სატყეო მეურნეობის დეპარტამენტის რაიონული ოფისებისათვის შესყიდული იქნა 20 ერთეული მაღალი გამავლობის მსუბუქი ავტომანქანა (ნივა);
- გარემოს დაცვის ინსპექციისათვის შესყიდული იქნა 10 ერთეული მაღალი გამავლობის მსუბუქი ავტომანქანა (ნივა);
- შემუშავდა ტყის აღდგენა-გაშენების 2006-2009 წლების ეროვნული პროგრამა;
- ტყის აღდგენა-განაშენებისათვის პროგრამის უზრუნველსაყოფად, სანერგისათვის შექმნილი იქნა სათესი მასალა;
- დასრულდა დარგობრივი რადიოკომუნიკაციური სისტემის შექმნის პირველი ეტაპი;
- რაიონული სატყეო ოფისებისათვის შესყიდული იქნა საოფისე ტექნიკა და ავეჯი;
- განხორციელდა სართიჭალის სანერგე მეურნეობის ტექნიკური აღჭურვა;
- შესყიდული იქნა 32 ათასი ერთეული დახურულ ფესვთა სისტემიანი ნერგის გამოსაყვანი კონტეინერი.

დაცული ტერიტორიები და ეკოტურიზმი

ქვეყნის მასშტაბით დაცული ტერიტორიების სისტემისა და ეკოლოგიური ტურიზმის განვითარება სამინისტროს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს. სამინისტრო ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის გატარებით ახორციელებს უნიკალური ობიექტების დაცვას, აღდგენასა და მოვლას, უზრუნველყოფს ბუნებრივი ეკოსისტემების შენარჩუნებას, რითაც ხელს უწყობს ქვეყნის ეკოლოგიური უსაფრთხოების ბიოლოგიური მრავალფეროვნების დაცვასა და ბუნებრივი რესურსების ეკოლოგიური პოტენციალის გაძლიერებას. საქართველოს დაცული ტერიტორიების საერთო ფართობი 2005 წლის მონაცემებთან შედარებით 113 447 ჰა-ით გაიზარდა და 329 761 ჰა შეადგინა. ეროვნული პარკების ინფრასტრუქტურის ადექვატური განვითარების, ეკოტურისტული მომსახურების სრულყოფისა და დაინტერესებულ პირთა სათანადო ინფორმაციით უზრუნველყოფის მიზნით 2006 წელს მნიშვნელოვანი ღონისძიებები იქნა განხორციელებული.

შემუშავებული იქნა “დაცული ტერიტორიების ეკოლოგიურ-საგანმანათლებლო საქმიანობის კონცეფცია” და “დაცული ტერიტორიების ეკოლოგიურ საგანმანათლებლო საქმიანობის ინსტრუქცია”;

განხორციელდა დაცულ ტერიტორიებზე მობინადრე ხერხემლიანი ცხოველების, ხე-მცენარეების და ბუჩქების ინვენტარიზაცია;

აღიჭურვა და მოეწყო ქობულეთის სახელმწიფო ნაკრძალისა და ალკვეთის ინფრასტრუქტურა;

დასრულდა მუშაობა და უახლოეს მომავალში გამოცემული იქნება მცენარეულობისა და ხერხემლიანი ცხოველების საველე სარკვევები და დაცული ტერიტორიების მეგზურები;

შემუშავდა სათაფლიას სახელმწიფო ნაკრძალის განვითარების პროექტი; დასრულდა კოლხეთის ეროვნული პარკის ადმინისტრაციული შენობისა და ვიზიტორთა ცენტრის მოწყობა;

კოლხეთის ეროვნული პარკის ტრადიციული გამოყენების ზონაში განხორციელდა არსებული ტყეების ინვენტარიზაცია და მომზადდა შესაბამისი ტყის მართვის გეგმა.

მომზადდა მტირალას ეროვნული პარკის სტრუქტურა და დებულება; დასრულდა მტირალას ეროვნული პარკის ინფრასტრუქტურის საპროექტო სამუშაოები;

დამზადდა დაცული ტერიტორიების დეპარტამენტის ვებ-გვერდი, WB და GEF – ის დაფინანსებით გადაღებული იქნა ფილმი და სარეკლამო რგოლები სამინისტროსა და დაცული ტერიტორიების დეპარტამენტზე;

მიმდინარეობს დაცული ტერიტორიების ერთიან მონაცემთა ბაზის შექმნა; მზადდება დაცული ტერიტორიების განახლებული რუკები;

მიმდინარეობს მუშაობა ჭოროხის აღკვეთილის შექმნასა და თბილისის ეროვნული პარკის აღდგენაზე.

მსოფლიო ბანკისა და გლობალური გარემოს დაცვითი ფონდის დაფინანსების ფარგლებში დასრულდა ვაშლოვანის დაცული ტერიტორიის ადმინისტრაციის შენობის მშენებლობა დედოფლისწყაროში;

დასრულებულია საპროექტო სამუშაოების ძირითადი ნაწილი ადმინისტრაციული შენობის, ვიზიტორთა ცენტრისა და მცირე ინფრასტრუქტურის მოსაწყობად აღმოსავლეთ კავკასიონის დაცულ ტერიტორიებზე;

მომზადდა საქართველოს დაცულ ტერიტორიებზე არსებული ისტორიულ-კულტურული ძეგლების ნუსხა;

მომზადდა დოკუმენტი „პალიასტომის ტბასა და მდ. ფიჩორზე მეთევზეობის მონიტორინგის სისტემის შემუშავება კოლხეთის ეროვნული პარკისათვის“.

შემუშავდა და ეროვნულ კანონმდებლობაში შესაბამისად ასახვა ჰპოვა დაცული ტერიტორიების, როგორც გარემოს მგრძობიარე სუბიექტების, დაცვისა და შენარჩუნების იურიდიული ხასიათის ბერკეტებმა. კერძოდ:

მიღებული იქნა „კოლხეთის ეროვნული პარკის, თუშეთის ეროვნული პარკის და სახელმწიფო ნაკრძალის, ვაშლოვანის ეროვნული პარკის და სახელმწიფო ნაკრძალის, ლაგოდეხის სახელმწიფო ნაკრძალის და აღკვეთილის, ქობულეთის სახელმწიფო ნაკრძალის და აღკვეთილის, ქცია-ტაბაწყურისა და ჯავახეთის დაცული ტერიტორიების მართვის გეგმები“;

დამტკიცებული იქნა „ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის და ბორჯომის სახელმწიფო ნაკრძალის ადმინისტრაციის დებულება“;

დამტკიცებული იქნა „კოლხეთის ეროვნული პარკის და კოლხეთის მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორიის ადმინისტრაციის დებულება“;

დამტკიცებული იქნა „ქობულეთის სახელმწიფო ნაკრძალის, ქობულეთის აღკვეთილის და ქობულეთის მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორიის ადმინისტრაციის დებულება“;

დამტკიცებული იქნა „დაცული ტერიტორიების დეპარტამენტის ტერიტორიული ორგანოების ადმინისტრაციების ტიპიური დებულება“;

დამტკიცებული იქნა კანონი “მტირალას მთის ეროვნული პარკის შესახებ”

დასრულდა ნექვის აღკვეთილის მიღება-ჩაბარება;

დასრულდა ბუნების ძეგლის – “არწივის ხეობა” მიღება-ჩაბარება;

შემუშავებული იქნა ნექვის აღკვეთილის ფუნქციონირების დროებითი რეგულირების წესი.

გარემოს დაცვის ინსპექცია

გარემოს დაცვის ინსპექციის გაძლიერების მიზნით 2006 წელს მოხდა საშტატო რიცხოვნობის 90 ერთეულიდან 300 ერთეულამდე გაზრდა. მათ შორის გდი-ს ცენტრალური აპარატის თანამშრომელთა რაოდენობამ შეადგინა 63 ერთეული, ტერიტორიული ორგანოების რიცხოვნებამ 237 ერთეული. გდი-ის შემადგენლობაში სამსახურის სახით შეყვანილ იქნა ეკოლოგიური მონიტორინგის სამსახური 5 საშტატო ერთეულით. ინსპექციის ტერიტორიულ ორგანოებს დაემატა ზემო აფხაზეთის ბიურო 4 საშტატო ერთეულით.

ინსპექციის მიერ 2006 წლის განმავლობაში განმავლობაში გამოვლენილი იქნა გარემოსდაცვითი კანონმდებლობის დარღვევის

2 596 ფაქტი. მათ შორის:

- უკანონოდ მოჭრილი ხე-ტყის ოდენობამ შეადგინა 16 664,3 კუბ.მ.;
- უკანონოდ მოპოვებული თევზის რაოდენობამ შეადგინა 9748,0 კგ.
- სასარგებლო წიარისეულის, მათ შორის, უკანონოდ მოპოვებული ინერტული მასალის რაოდენობამ შეადგინა 3 269,9 კუბ. მ; სხვადასხვა წიაღისეულის ოდენობამ 64 ტონა (მარგანეცი, ქვანახშირი, ტეშენიტი), 56 კუბ.მ (მარმარილო, გაჯის ნედლეული).
- დაკისრებული ჯარიმის ოდენობამ შეადგინა 795 600,5 ლარი,.
- სახელმწიფოზე მიყენებული ზიანის თანხამ შეადგინა 2 816 982,9 ლარი.

ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიებისა და გარემოსდაცვითი ნებართვის პირობების შესწავლის საფუძველზე, ინსპექციის მიერ სამინისტროს ხელმძღვანელობის წინაშე დაყენებული იქნა საკითხი 3 სამონადირეო მეურნეობისათვის ლიცენზიისა და 1 წიაღითმოსარგებლისათვის ლიცენზიის გაუქმების თაობაზე.

ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიისა და გარემოსდაცვითი ნებართვის პირობების შესრულების მდგომარეობის შეწავლის მიზნით შემოწმებულ იქნა წიაღით სარგებლობის ლიცენზიისა და გარემოსდაცვითი ნებართვის პირობების შესრულების მდგომარეობა 6 საწარმოში. გამოვლენილი დარღვევების საფუძველზე გატარებული იქნა ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული სახდელები. შემოწმებული იქნა 8 სამონადირეო მეურნეობა და შემოწმების მასალების საფუძველზე სამინისტროს ხელმძღვანელობის წინაშე დაყენებული იქნა საკითხი 3 სამონადირეო მეურნეობისათვის ლიცენზიის გაუქმების თაობაზე;

გარემოს დაცვის სფეროში კანონდარღვევათა დროულად აღკვეთისა და მოსახლეობის აქტივობის გაძლიერების მიზნით ინსპექციაში შეიქმნა და ფუნქციონირებს სატელეფონო “ცხელი ხაზი”, როგორც ცენტრალურ ოფისში, ისე ყველა ტერიტორიულ ორგანოში.

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) გარემოს დაცვის მოქმედებათა პროგრამის რეალიზაციის სამდივნოსა (EAP) და ნორვეგიის მთავრობის მხარდაჭერით ინსპექციაში გრძელდება პროგრამა “საქართველოში გარემოსდაცვითი კანონმდებლობის მოთხოვნათა შესრულების უზრუნველყოფი სისტემის საფუძველების შექმნის შესახებ”. აღნიშნული პროექტის ფარგლებში ინსპექციისათვის შეძენილი იქნა კომპიუტერული ტექნიკა და აღჭურვილობა (25000 ევროს ღირებულების). ყველა ტერიტორიული ორგანო აღიჭურვა კომპიუტერებით, ფაქსებით და სხვა საოფისე მოწყობილობით. OECD -სა და EAP-ის მხარდაჭერით ინსპექციის მიერ შემუშავებულია გარემოს დაცვის სახელმწიფო კონტროლის სტრატეგია და მოქმედებათა გეგმის პროექტი 2007-2010 წლებისათვის.

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) მხარდაჭერით 2006 წლის შემოდგომაზე ინსპექციაში დაიწყო პროექტი “პროექტის მონიტორინგის და კანონდარღვევების შესაძლებლობათა გაძლიერება“. პროექტი განხორციელდება ორი წლის განმავლობაში და მიმართული იქნება ინსპექციის როლისა და ფუნქციების გაფართოებისაკენ

მიწის რესურსების მართვა

2006 წელს საქართველოს მიწის გამოყენებისა და დაცვის სახელმწიფო კომისიის რეკომენდაციის საფუძველზე, სამინისტრომ თანხმობა გასცა კერძო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მიზნობრივი დანიშნულების შეცვლის 268 საქმეზე, რის შედეგადაც სახელმწიფო ბიუჯეტში შესულმა თანხამ შეადგინა **1 806 341 ლარი**.

წყლის რესურსები

წყალმოსარგებლეთა ობიექტებისაგან წარმოდგენილი წყლის გამოყენების შესახებ სტატისტიკური ანგარიშების სააღრიცხვო ფორმების მიღების დამუშავებისა და ანალიზის საფუძველზე მომზადებული იქნა “საქართველოში წყლის გამოყენების 2005 წლის ძირითადი მაჩვენებლების კრებული”.

მომზადებული იქნა “წყლის შესახებ” საქართველოს ახალი კანონის პროექტი.

განსახილველ იქნა ჩამდინარე წყალთან ერთად დამაბინძურებელ ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები ჩაშვების (ზდჩ) ნორმატივები 21 წყალმოსარგებლეთა ობიექტისათვის.

შავი ზღვის საერთაშორისო კომისიას წარედგინა 2005 წლის ანგარიში საქართველოს ტერიტორიაზე განლაგებული სანაპირო ობიექტებიდან დაბინძურების შესახებ.

შესწავლილ იქნა და მომზადდა შენიშვნები და წინადადებები შრომის, ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს მიერ წარმოდგენილ შემდეგ ნორმატიული აქტების პროექტებზე:

მომზადდა შესაბამისი შენიშვნები და წინადადებები სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ მომზადებულ კანონპროექტზე “სანიტარიულ კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ”.

მომზადებული იქნა “საქართველოს წყლის რესურსების მართვის პოლიტიკის კონცეფციის” პროექტი, სადაც გაშუქებულია წყლის რესურსების ინტეგრირებული მართვის ძირითადი პრინციპები. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ საქართველოში წყლის პოლიტიკის მიზანს წარმოადგენს შემდგომი 25 წლის განმავლობაში წყლის რესურსების გაუმჯობესებული და ეფექტური მართვის უზრუნველყოფა. განსახილველია წყლის რესურსების მართვის პოლიტიკის პრიორიტეტული მიმართულებები:

ქვეყანაში წყლის რესურსების სააუზო მართვის პრინციპების დანერგვა და შესაბამისი სამართლებრივი და ინსტიტუციური საფუძვლების გაძლიერება;

საქართველოში წყლის რესურსების მართვის სფეროში ყველა დაინტერესებული მხარის მონაწილეობის უზრუნველყოფა;

სახელმწიფო და თვითმმართველობის ადგილობრივი ორგანოების პრაქტიკაში წყლის რესურსების ინტეგრირებული მართვის თანამედროვე პრინციპების დანერგვა.

ატმოსფერული ჰაერის დაცვა

სამინისტროს მიერ ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონარული ობიექტებიდან მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების სახელმწიფო აღრიცხვის მონაცემების საფუძველზე წიგნად გამოიცა – “წლიური ანგარიში ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევებზე”.

მომზადდა სამოცდაათი “ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების წყაროების და მათ მიერ გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა ინვენტარიზაციის ტექნიკური ანგარიში” და ცხრამეტი “ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევების ნორმების პროექტი”. შედგა ევროპისა და ცენტრალური აზიის ოზონის რეგიონული ქსელის მე-5 შეხვედრა, რომელიც 2006 წლის წლის 11-14 აპრილს ჩატარდა ქ. თბილისში. <http://jp1.estis.net/sites/ecanetwork/>.

ნორვეგიის მთავრობასთან თანამშრომლობით საქართველოში ხორციელდება უახლესი ხელსაწყოებით ჰაერის ხარისხზე დაკვირვების ერთი სტაციონარული სადგურის აღჭურვა.

მომზადდა ოთხი სახელმძღვანელო რუსულ ენაზე ოზონის შრის დამწვლ ნივთიერებათა შესახებ მონრეალის ოქმის ფარგლებში: სახელმძღვანელოები გავრცელებულ იქნა დსთ-ს ქვეყნებში.

გაეროს გარემოსდაცვით პროგრამასთან (UNEP) და საქართველოს მემაცივრეთა ასოციაციასთან აქტიური თანამშრომლობით 2006 წლის 11 ოქტომბერს ჩატარდა აქცია ქ. ქუთაისში, რომლის მიზანი იყო წარუდგინოს მოსახლეობას მაცივარაგენტების გამოყენებული ერთჯერადი ბალონებისაგან დამზადებული ნაგვის ჩასაყრელი ურნები, რომლებზეც ასახული არის გარემოსდაცვითი (ოზონის შრის დაცვის შესახებ) ინფორმაცია.



ნარჩენებისა და ჰიმიურ ნივთიერებათა მართვა

გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2006 წლის 4 აგვისტოს №676 ბრძანებით შეიქმნა გლდანის ნაგავსაყრელზე არსებული მძიმე ეკოლოგიური მდგომარეობის შემსწავლელი კომისია. ნაგავსაყრელზე შექმნილი ეკოლოგიური მდგომარეობის შესწავლის შემდგომ კომისიის მიერ შემუშავებული იქნა სათანადო რეკომენდაციები.

განხორციელდა სამუშაოები ლენტეხისა და ამბროლაურის რაიონებში არსებული დარიშხანის გადამუშავებით მიღებული ნარჩენების გაუვნებელყოფის საკითხზე, რომელიც სერიოზულ გარემოსდაცვით პრობლემას წარმოადგენს. ეუთო-ს, ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტის, ადგილობრივი მმართველის ორგანოების და სამინისტროს რეგიონული სამმართველოს წარმომადგენლების მონაწილეობით მოხდა ორივე რაიონში ობიექტების ვიზუალური დათვალიერება და საპროექტო წინადადებებზე მუშაობის დაწყება.

განხილული იქნა და შესაბამისი დასკვნები მომზადდა შემდეგ საკითხებზე:

- BP-ის მიერ წარმოდგენილი იალღუჯის ნაგავსაყრელის კეთილმოწყობის გეგმა;
- ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობასთან დაკავშირებით შემუშავებული “ნარჩენების მართვის სტრატეგიის” და „გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის გეგმის (ნარჩენები)” პროექტები;
- მსოფლიო ბანკის პროექტის აღმოსავლეთ-დასავლეთის ნავთობისა და გაზის დერეფანთან დაკავშირებული გარემოსდაცვით საკითხთა მრჩეველის ოფისის, ნარჩენების მართვის ექსპერტის მიერ ჩატარებული აუდიტის ანგარიში;
- „დაბა ბაკურიანში მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების განთავსების პოლიგონის გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროექტი“;
- ცენტრალური საცნობარო ლაბორატორიის მშენებლობისათვის ტერიტორიის მომზადების ეკოლოგიური მონიტორინგის და ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმა;
- სამოქალაქო თავდაცვის გეგმის პროექტი;
- ბიოგაზის დანადგარების მშენებლობის პროექტი;
- „ურეკი-ნატანების ნაგავსაყრელი პოლიგონის გარემოზე ზემოქმედების ანგარიშის” პროექტი;
- „ოზურგეთის ნაგავსაყრელი პოლიგონის გარემოზე ზემოქმედების შეფასების“ პროექტი;
- შ.პ.ს. „ეკომეტალი“-ს მიერ წარმოდგენილი „ქერქული ნარჩენებიდან მეტალური სილიკომანგანუმის ამოღების საწარმოს გარემოზე ზემოქმედების ანგარიშის“ პროექტი.

სტოკჰოლმის კონვენციის ფარგლებში განხორციელდა პროექტი **“მდგრადი ორგანული დამბინძურებლების (POPs) შესახებ სტოკჰოლმის კონვენციის შესრულების მიზნით ეროვნული სამოქმედო გეგმის მომზადება”**. პროექტი დაფინანსდა გლობალური ეკოლოგიური ფონდის (GEF) მიერ. შემუშავდა ეროვნული სამოქმედო გეგმა მდგრადი ორგანული დამბინძურებლების (POPs) შესახებ, რომელიც უახლოეს პერიოდში წარდგენილი იქნება მთავრობაში დასამტკიცებლად.

პოლანდიის საერთაშორისო ორგანიზაცია MILIEUKONTAKT წყლის რესურსების მართვის სამმართველოსთან კოორდინაციით ახორციელებს საპილოტო პროექტს **„საქართველოში ვადაგასული პესტიციდების რისკ-ფაქტორების შემცირება“**. პროექტის მიზანია კახეთის რეგიონში არსებული გარემოს დაბინძურების წყაროების – ვადაგასული და ხმარებისათვის უვარგისი პესტიციდების შეგროვება, შეფუთვა და დროებით უსაფრთხო დასაწყობება, რათა თავიდან იქნას აცილებელი მავნე ზემოქმედება ადამინის ჯანმრთელობაზე და გარემოზე.

ჩატარდა საქართველოს ტერიტორიაზე ნარჩენების ინვენტარიზაციისათვის მოსამზადებელი სამუშაოები. შემუშავებულია მეთოდოლოგია, შესაბამისი კითხვარები, რომელიც დაეუზავნა სამინისტროს რეგიონულ სამმართველოებს, სხვადასხვა სამინისტროებს, ორგანიზაციებს და საწარმოებს შესაბამისი ინფორმაციის მიღების მიზნით, მოეწყო შეხვედრები რეგიონებში. ნარჩენების ინვენტარიზაციის დამთავრების შემდეგ შემუშავდება ნარჩენების მართვის სამოქმედო გეგმა.

ბიომრავალფეროვნების დაცვა

საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ მომზადდა და საქართველოს პრეზიდენტის 2006 წლის 2 მაისის №303 ბრძანებულებით დამტკიცდა საქართველოს „წითელი ნუსხა“.

შემუშავებული იქნა ეროვნული მოხსენება შეთანხმებისთვის - „ევროპის ხელფრთიანთა დაცვის შესახებ“ და კონვენციისთვის - „გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ველური ფაუნისა და ფლორის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ“. ასევე, მომზადდა ინფორმაცია შავი ზღვის დაბინძურებისაგან დაცვის ბუქარესტის კონვენციის სტამბულის კომისიასთან არსებული სამუშაო ჯგუფისათვის თევზჭერის საკითხებზე.

დამტკიცებული იქნა „გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ველური ფაუნისა და ფლორის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ კონვენციის“ დანართებში შეტანილი სახეობების ექსპორტის, იმპორტისა და რეექსპორტის ნებართვის გაცემის წესი. შემუშავდა და მინისტრის ბრძანებით დამტკიცდა ნებართვის ფორმა.

მომზადების პროცესშია საქართველოს შიდა წყალსატევებისა და სამონადირეო მეურნეობების მონაცემთა ბაზები.

„საერთაშორისო მნიშვნელობის ჭარბტენიანი, განსაკუთრებით წყლის ფრინველთა საბინადროდ ვარგისი ტერიტორიების შესახებ“ კონვენციისა და „გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ველური ფაუნისა და ფლორის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ“ კონვენციით განსაზღვრული ვალდებულებების ადექვატურად განხორციელების უზრუნველსაყოფად განხორციელდა ეროვნული საკანონმდებლო ბაზის დამუშავება.

მომზადდა დასკვნები ბიომრავალფეროვნების დაცვის სფეროში შემდეგი ხელშეკრულებების რატიფიცირების/ხელმოწერის ინიცირებისათვის: „კონვენცია ევროპის ველური ბუნებისა და ბუნებრივი პაბიტატების შესახებ“, „შავი ზღვის დაბინძურებისაგან დაცვის კონვენციის შავი ზღვის ბიოლოგიური მრავალფეროვნებისა და ლანდშაფტების შენარჩუნების შესახებ“ ოქმი, ევროპის ლანდშაფტების კონვენცია.

გეოდეზია – კარტოგრაფია

2006 წლისათვის ინტენსიურად მიმდინარეობდა მუშაობა საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – გეოდეზიისა და კარტოგრაფიის დეპარტამენტსა და იაპონიის საერთაშორისო თანამშრომლობის სააგენტოს JICA-ს შორის 2004 წლის 21 დეკემბერს ხელმოწერილი შეთანხმებით გათვალისწინებულ სამუშაოებზე.

წინასწარი მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარების შემდეგ 2006 წლის გაზაფხულზე განხორციელდა საქართველოს ტერიტორიაზე ინტენსიურად განვითარებული რეგიონების 30.0 ათასი კმ³ ფართის 1:40 000 მასშტაბის აეროფოტოგადაღება.

ციფრული ორთოფოტოგეგმების შესაქმნელად განხორციელდა საველე გეოდეზიური გაზომვები. პრაქტიკულად ქართველი და იაპონელი სპეციალისტების ერთობლივი საქმიანობის შედეგად შეიქმნა 1:50 000 მასშტაბის ქართულენოვანი ტოპოგრაფიული პირობითი ნიშნები და მისი ციფრული ვერსია. მიმდინარეობს 1:50 000 მასშტაბის ტოპოგრაფიული რუკების კომპიუტერული დამუშავება და გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებების ქართული წარწერის გაკეთება.

2007 წლის პერიოდიტეპი

- წყლის რესურსების სააუზო მართვის სისტემაზე გადასვლის უზრუნველყოფა;
- სატყეო მეურნეობის მართვის სისტემის რეფორმირების განხორციელება;
- ნარჩენების მართვის ერთიანი პოლიტიკის შემუშავება;
- ლიცენზიებისა და ნებართვების ახალი სისტემიდან გამომდინარე საკანონმდებლო ბაზის სრულყოფა;
- სტიქიური მოვლენების პრევენცია;
- დაცული ტერიტორიების სისტემისა და ეკოტურიზმის განვითარება.